

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საიას თელავის ოფისი მოსახლეობის უფლებების დასაცავად

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თელავის ოფისს განცხადებებით მომართა ადგილობრივმა მოსახლეობამ. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ სააქციო საზოგადოება "კახეთის ენერჯოდისტრიბუცია" უხეშად არღვევდა მათ უფლებებს.

ამის შემდეგ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ განცხადებით მიმართა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას და მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს. საიამ მოითხოვა სააქციო საზოგადოება "კახეთის ენერჯოდისტრიბუციის" მიერ მომხმარებელთა უფლებების

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



დარღვევის ფაქტების შესწავლა და განხილვა. აღნიშნულ განცხადებას შეუერთდა თელავის რაიონში მოქმედი 9 არასამთავრობო ორგანიზაცია.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საქმის დეტალები შეისწავლა, ორი ძირითადი დარღვევა აღმოაჩინა:

- ინდივიდუალურ გამრიცხველიანებასთან დაკავშირებით "კახეთის ენერგოდისტრიბუციამ" დაანესა გადასახდელი ტარიფები მომსახურეობისა და აბონენტად აყვანისათვის. კერძოდ, ინდივიდუალური მრიცხველის დამონტაჟებისათვის მომხმარებლისაგან ითხოვდა 50 ლარს. მომხმარებელს სთხოვდნენ, ნებაყოფლობით დაენერათ განცხადება აღნიშნული საფასურის გადახდაზე, გადაუხდელობის შემთხვევაში კი მოქალაქეები რჩებოდნენ ელექტროენერჯის გარეშე ან უკეთეს შემთხვევაში სარგებლობდნენ საერთო მრიცხველით.
- მეორე უხეში დარღვევა ის გახლდათ, რომ მოქალაქეები კანონის დარღვევით იხდიდნენ ელექტრო ენერჯის საფასურს გაზრდილი ტარიფით. (13 თეთრის ნაცვლად ხშირ შემთხვევაში იხდიდნენ 17 თეთრს). სემეკის 2006 წლის 15 მაისის #18 დადგენილების თანახმად, ეს დაუშვებელია.

საიას თელავის ოფისის მიმართვის საფუძველზე საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის სამუშაო ჯგუფი შეიქმნა. ეს ჯგუფი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველთან ერთად 30 აგვისტოს სს **ქ** ენერგოდისტრიბუციამში“ თელაველ მომხმარებელთა პრეტენზიებს გაეცნო.

საიას თელავის ოფისის დახმარებით, სს კახეთის ენერგოდისტრიბუციას დაევალა, მოახდინოს შესწორება და შესაბამისად დააკისროს მოსახლეობას ელექტროენერჯის მოხმარების კანონით დადგენილი ტარიფი.

რაც შეეხება ინდივიდუალური მრიცხველის დამონტაჟებისათვის მომხმარებლისაგან 50 ლარის (დღეის მდგომარეობით 72) ლარის დაკისრებას, აღნიშნულ საკითხს სემეკის სხდომაზე უახლოეს მომავალში განიხილავენ. ასევე, სემეკის სამუშაო ჯგუფის მიერ დაფიქსირებული და საიას განცხადებაში მოყვანილი ფაქტების დადასტურების საფუძველზე, კომპანიას დაევალა დარღვევების აღმოფხვრა და სემეკის დადგენილებების ფარგლებში მოქმედება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საქართველოს სხვა რეგიონებშიც დააფიქსირა ელექტროენერჯის მომხმარებელთა უფლებების უხეში დარღვევის ფაქტები.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ჩვენი რეგიონული ოფისები ანალოგიურ რეჟიმში მუშაობენ მათი უფლებების დაცვაზე.